შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის
დამფუძნებელთა საბჭოს
დებულება

დამტკიცებული დამფუძნებელთა საბჭოს

სხდომის მიერ

10.08.2021

1. ზოგადი დებულებები

1.1. დამფუძნებელთა საბჭო წარმოადგენს სკოლის მართვის უმაღლეს ორგანოს, რომელის შემადგენლობა განისაზღვრება 4 წევრით.

1.2. დამფუძნებელთა საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონით "მეწარმეთა შესახებ", შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის წესდების, შინაგანაწესისა და დამფუძნებელთა საბჭოს დებულების მოთხოვნათა შესაბამისად.

1.3. დამფუძნებელთა საბჭოს საკუთარი შემადგენლობიდან დამფუძნებელთა კრებაზე ირჩევს თავმჯდომარეს.

1.4. დამფუძნებელთა საბჭო სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 20 დღით ადრე , სასწავლო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა სკოლის წინაშე არსებული გამოწვევებისა და პრობლემური საკითხების გადასაწყვეტის მიზნით.

1.5. დამფუძნებელთა საბჭო გადაწყვეტილებებს ღებულობს ოთხივე დამფუძნებლის თანხმობით. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 2 . ტერმინთა განმარტება

2.1 ამ დებულების მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დამფუძნებელთა საბჭო – საგანმანათლებლო დაწესებულების, შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის დამფუძნებელთა სათათბირო/გადაწყვეტილების მიმღები ორგანო.

ბ) დამფუძნებელთა საბჭოს წევრი -- შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის დამფუძნებელი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი, რომელსაც გადაწყვეტილების მიღების უფლება გააჩნია;

გ) მოწვეული წევრი -- დამფუძნებელთა საბჭოს მიერ, კონკრეტული საკითხის განხილვა-მიღებისათვის, ხმის უფლების გარეშე, ერთჯერადად მოწვეული პირი სასკოლო თემის შემადგენლობიდან ან /და სხ/სხ საექსპერტო ჯგუფიდან;

დ) სასკოლო თემი -- სასკოლო ცხოვრებაში ჩართული პირები: მასწავლებელი, მოსწავლე, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი, მეურვე, მზრუნველი);

ე) ექსპერტი --სპეციალური ცოდნის მქონე პირი, რომელიც ადგენს დასკვნას და შეიძლება მიწვეულ იქნეს საკითხის ზეპირ მოსმენაზე;

ვ) დამფუძნებელთა საბჭოს ოქმი – ოფიციალური დოკუმენტი სადაც შეიტანება დამფუძნებელთა საბჭოს გადაწყვეტილებები.

3. დამფუძნებელთა საბჭოს ფუნქციები

3.1 დამფუძნებელთა საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ნიშნავს /ათავისუფლებს სკოლის დირექტორს;

3.2 სკოლის დირექტორის წარდგინებით ითანხმებს: სკოლის მისიას, საშტატო ერთეულებს და მის რაოდენობას, სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის ან/და ახალი დოკუმენტის შინაარსს;

3.3 განსაზღვრავს სკოლის ბიუჯეტს, ახდენს მის ცვლილებას სკოლის დირექტორის განცხადება/ მიმართვის საფუძველზე;

3.4 განიხილავს/ აკორექტირებს/ ვიზირებას უკეთებს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმებს და პროექტებს;

3.5 იხილავს დისციპლინური საქმისწარმოების შედეგების გასაჩივრების საკითხებს და სკოლის ინტერესებიდან გამომდინარე , კანონმდებლობის გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებებს. მათ შორის საჩივრებს, რომლებიც ეხება სკოლის დირექტორის მიერ დისციპლინურ გადაცდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

3.6 სკოლის დირექტორის მიერ მომზადებული წლიური ანგარიშის გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას მისიაში გაცხადებული მიმართულებების ცვლილება-დამატებებზე, სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ადამიანური რესურსის მოზიდვა- ჩანაცვლებაზე, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებების ამოქმედებაზე, საგანმანათლებლო სერვისის საფასურის გაზრდაზე, საშეღავათო პოლიტიკის ამოქმედებაზე და სხვ.

GEORGIA "SCHOOL-LYCEUM MASTERCLASS" LTD
245546734

3.7 დამფუძნებელთა საბჭო უფლებამოსილია:

ა) მოთხოვოს სკოლის დირექტორს ვადამდე ადრე შეუწყვიტოს მასწავლებელს ან/და სკოლაში დასაქმებულ პირს შრომითი ხელშეკრულება სახელშეკრულებოპირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) მოიზიდოს დამატებით ფინანსური და მატერიულ რესურსები კანონმდებლობის სრულად დაცვით; .

გ) აკონტროლოს სკოლის დირექციის მიერ ფინანსების ხარჯვას და ქონების განკარგვას.

4. საქმისწარმოება

4.1 დამფუძნებელთა საბჭო აწარმოებს საქმიანობას კანონის გათვალისწინებით.

4.2 დამფუძნებელთა საბჭო ატარებს სხდომებს და აფორმებს მათ სხდომის ოქმებით;